პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გამოცემის 29-ე წელი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეზობლელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

КВІРА
31 ოქტომბერი
1948 წ.
№ 217 (8261)
ფასი 20 კაპ.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

საკავშირო ალკა 30 წლისთავისადმი მიძღვნილი კომკავშირული აქტივის საზეიმო კრების მონაწილეთაგან

ძვირფასო, საყვარელო ამხანაგო სტალინ!

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ოცდამეათე წლისთავის დღეს მგზნებარე კომკავშირული სალამს გიძღვნით თქვენ, საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, ჩვენს შშობლიურ მამას და მასწავლებელს!

კომკავშირის იუბილეს ღირსშესანიშნავ დღეებში მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, მხურვალე სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულების სიტყვებით.

ბოლშევიკურმა პარტიამ, ლენინმა და სტალინმა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი აღზარდეს საბჭოთა სამშობლოსადმი ერთგული და თავდადებული სამსახურის სულისკვეთებით.

კომკავშირის შრავალშლილონანი არმია შუდამ მიჰყვებოდა, მიჰყვება და კვლავაც გაჰყვება ლენინ-სტალინის პარტიას, ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს! მთელ ჩვენს სიცოცხლეს მოკაბპრთ ეკომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას, ლენინ-სტალინის საქმისათვის ბრძოლას!

ბედნიერნი ვართ, რომ ვცხოვრობთ და ვიბრძვით დიად სტალინურ ეპოქაში. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საბჭოთა ხალხს ბრძოლას კომუნიზმისათვის ამხანაგი სტალინი მეთაურობს.

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმების გულითადი სიტყვები ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ მოგვწოდებენ.

მთელ ჩვენს ძალებს, მთელ ჩვენს ცოდნას მოვაბმართ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, შშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების, ჩვენი ქვეყნის კულტურისა და მეცნიერების ახალი აყვავების საქმეს.

ახალგაზრდა თაობა საზეიმოდ გაძღვევთ პირობას, რომ კვლავაც განუწყვეტლივ განამტკიცებს ჩვენი სამშობლოს ძალასა და ძლიერებას!

დიდი სიხარულისა და სამშობლოსადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, თქვენდამი, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, უღრმესი მადლობის გრძნობით შეჰხედნენ კომკავშირელები და ახალგაზრდობა კომკავშირის დაჯილდოებას ლენინის ორდენით, მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის, სევასტოპოლისა და ოდესის კომკავშირული ორგანიზაციების წითელი დროშის ორდენებით დაჯილდოებას, კომკავშირულ მეშაკთა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებას.

ეს მაღალი ჯილდოები მოგვიწოდებენ კვლავაც ვიარით მხოლოდ წინ; ვიყოთ კომუნიზმის შშენებელთა პირველ რიგებში!

ფიცს გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ყოველთვის და ყველაფერში ვიყოთ ჩვენი დედა-სამშობლოს ერთგული შვილები, თავდადებით ვემსახუროთ ლენინ-სტალინის საქმეს!

სულითა და გულით გისურვებთ, დიდო ბელადო და მასწავლებელო, მრავალ წელს სიცოცხლეს შშრომელთა სასიხარულოდ, მთელი კაცობრიობის საბედნიეროდ!

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით—წინ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის უძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ქალაქ თბილისის კომკავშირული აქტივის კრება პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად გითვლით თქვენ, გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს, საბჭოთა ახალგაზრდობის მამასა და მეგობარს, მგზნებარე სალამს და გისურვებთ მრავალი წლის სიცოცხლეს ყველა შშრომელის საკეთილდღეოდ!

ჩვენ შევიკრიბეთ საბჭოთა ახალგაზრდობის სასიხარულო დღესასწაულის დღეს, ლენინურ-სტალინური კომკავშირის 30 წლისთავის დღეს.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი და თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო, აკვანს ურწყვედით კომკავშირს. ოთხზეზის ორდენოსანი ლენინურ-სტალინური კომკავშირი თავის წარმატებებსა და მიღწევებს უმადლის თავისი დედის — ბოლშევიკური პარტიის, მისი დიდი ბელადების — ლენინის და თქვენს, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ბრძნელ ხელმძღვანელობას.

სამოქალაქო ომის მკაცრ წლებში, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის პერიოდში, ომამდელი ხუთწლედების ძანძილზე, დიდი სამამული ომის ვაფფრთებულ ბრძოლებში მიღოინობთა და მიღოინობით ჯაბუკი და ქალიშვილი მამაკაცისა და ქმრობის სასწაულს ახდენდა თავისი შრომითი და საბრძოლო ქმრობით, აძლიერებდა საყვარელი სამშობლოს დიდებას. თქვენს დიად სახელს ფულში ატარებენენ მამაცი საბჭოთა არმიის ახალგაზრდა შეიმრები, როცა იერიშებზე გადადიოდნენ ან ანადგურებდნენ ფაშისტ დამპყრობლებსა და იაპონელ იმპერიალისტებს.

ეს ამამად, როცა ჩვენი ქვეყანა კვლავ დაუბრუნდა შშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, კომკავშირელები, ახალგაზრდა ძალების დაუზოგავად თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რათა პირნათლად განახორციელონ თქვენ მიერ დასახული დიდ სამეშოთა გეგმა, მოაახლონონ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების ბრწყინვალე დღე.

მთელი საბჭოთა კავშირის ჯაბუკებსა და ქალიშვილებთან ხელიხელჩაკიდებულნი შრომობენ მზიური საქართველოს კომკავშირელები და ახალგაზრდები. ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXX წლისთავს ისინი ეგებებიან ახალი საწარმოო სარეკორდოთ, თავისი შრომითი წვლილი შეაქვთ ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების საყოველთაო სახალხო საქმეში.

მოხარული ვართ გაცნობოთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ რესპუბლიკის 570 ახალგაზრდა მეშამ უკვე შეასრულა თავისი ხუთწლიანი დავალებანი და პროდუქციის შემდგომი წლების ანგარიშში იძლევა. 8.000-ზე მეტმა ჯაბუკმა და ქალიშვილმა შეასრულა თავისი წლიური ნორმები.

სოფლის ახალგაზრდობა რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობასთან ერთად იბრძვის, რათა გადიდოს ნათესი ფართობი, აამაღლოს მოსავლიანობა, შეაქმნას პროდუქტების სიუხვე ჩვენს ქვეყანაში. შარშან 22 კომკავშირელი რესპუბლიკის სოციალისტური ყანების უხვი მოსავლის სხვა სუფეკეთსო ოსტატებთან ერთად ღირსი გახდა სოციალისტური შრომის გმირის წოდებისა.

ამეამად 2.136 ახალგაზრდული ბრიგადა და რეგიონ ეყენებს მოწინავე აგროტექნიკას და ადიდებს შრომის ნაყოფიერებას, ენერგიულად იბრძვის უხვი მოსავლისათვის, გადაჭარბებით ასრულებს საკავშირო ალკა XXX წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებებს.

საქართველოს ათასობითა და ათასობით კომკავშირელი, ჯაბუკი და ქალიშვილი წმიდად ასრულებს თქვენს მითითებას და ბეჯითად" სწავლობს მარქსიზმ-ლენინურ მეცნიერებას, იფართოებს პოლიტიკურ და კულტურულ ჰორიზონტს.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები დიდ მეშაობას ეწევიან, რათა ახალგაზრდობა აღზარდონ საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა სოციონალური სიამაყის სულისკვეთებით, ეხმარებიან შშობლიურ ბოლშევიკურ პარტიას გამოზარდოს ახალგაზრდა თაობა ძლიერი, მტკიცე, უნარისმქონე გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება მიზნისაკენ მიმავალ თავის გზაზე.

ლენინურ-სტალინური კომკავშირი მუდამ გრძნობს ბოლშევიკური პარტიის ყოველდღიურ ხელმძღვანელობასა და მზრუნველობას. ლენინ-სტალინის პარტიის სახით ჩვენ ვხედავთ ჩვენს გონიერებას, ღირსებასა და სინდიხს. კომკავშირი ბოლშევიკური პარტიის ერთგული თანაშემწე და საბრძოლო რეზერვია. ჩვენთვის, კომკავშირელებისათვის, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობისათვის, შშობლიური პარტიის, სოციალისტური საშშობლოს ინტერესებზე მაღალი არა არის რა. საშშობლოს ვეძღვნით მთელ ჩვენს წარმატებებსა და მიღწევებს. მას შევწირავთ ჩვენს სიცოცხლეს, თუ საჭირო გახდა.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ფიცსა ვდებთ, მომავალშიც ღირსეულად ვატაროთ ლენინურ-სტალინური კომკავშირის წოდება ამაღალი წოდება, დაუფალად ვისწავლოთ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრება, დღითიდღე ვზრდოთ ჯაბუკები და ქალიშვილები მტკიცე პატრიოტებად, პარტიის უსაზღვროდ ერთგულ, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ღირსეულ მოქალაქეებად.

მთელი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობასთან ერთად წარმოვთქვამთ:

სულ მხარში ვედგეთ პარტიას და ვიყოთ მისი
ერთგული,
ეს ჩვენი წმიდა ვალია, ერთ მტკიცე აზრად
შეკრული,
ვისი ნდობითაც ვამაყობთ და ჩვენი გული
ბრწყინდება,
საყვარელ მამას და ბელადს, შშობლიურ ტალინს
დიდებას!

გაუმარჯოს ოთხზეზის ორდენოსან ლენინურ-სტალინურ კომკავშირს!

გაუმარჯოს დიდ პარტიას ბოლშევიკებისას — საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს!

დიდება საბჭოთა ახალგაზრდობის მამას, მასწავლებელსა და მეგობარს, ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს!

კოდმეურნეობების, კოდმეურნეებისა და ერთპიროვნული გლეხური მეურნეობებისათვის მარცვლეულის, შქვიღის, ბუჩღლისა და გამომცხვარი პურის გაყიდვისა და გაცვლის ნებართვის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 25 ოქტომბრის № 3969 დადგენილების შესაბამისად და იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში 1948 წლის მოსავლის პური ჩაბარების სახელმწიფო გეგმა მთლიანად შესრულებულია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოთ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებს გაჰყიდონ და გასცვალონ მარცვლეული, ფქვილი, ბუღლული და გამომცხვარი პური 1949 წლის მოსავლის მარცვლეული კულტურების აღების დაწყებამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჩხუბიანიშვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი

მოსკოვი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ!

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 30 წლისთავის დღეს ქალაქ თბილისის კომკავშირის აქტივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად მხურვალე კომკავშირულ სალამს გიძღვნით თქვენ, დიდი რუსი ხალხის სახელოვან შვილს, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამარჯნილ მოღვაწეს, დიდ სტალინის ერთგულ თანამებრძოლს!

თავის ოცდამეათე წლისთავს ოთხზეზის ორდენოსანი საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი დიდი წარმატებებით ხვდება თავისი მოღვაწეობის ყველა დარგში. მთელ ამ წარმატებებს იგი უმადლის ბოლშევიკური პარტიის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას, პარტიის გენიალურ ბელადს, დიდ სტალინს.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდობა უდიდესი ენთუზიაზმით იბრძვიან ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის სამეშოთა დიადი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მთელ ძალოონეს იხმარებენ დიდად საყვარელი სამშობლოს ზრდისა და აყვავების საქმეს.

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 30 წლისთავს მზიური საქართველოს ჯაბუკები და ქალიშვილები აღნიშნავენ ახალი მიღწევებით შრომასა და სწავლაში. მაგრამ საბჭოთა ახალგაზრდობას არ სჩვეია მიღწეულით დაკმაყოფილება. იგი აღსავსეა მჩქეფარე ენერგიით, იმისათვის მზადყოფნით, რომ ამრავლის შრომითი სავმირო საქმეები დიდა-სამშობლოს სასახელოდ.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო მოლოტოვ, რომ ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელები, ეროვნული ახალგაზრდობა მომავალშიც ეცდებიან მიაღწიონ ახალ წარმატებებს ფაბრიკებსა და ქარხნებში, ახალმშენებლობებზე და სოციალისტურ მინდვრებზე, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის დაუფლებაში, ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიისა და თეორიის შესწავლაში.

საბჭოთა ახალგაზრდობა ყველაზე ბედნიერი, ყველაზე მოწინავე ახალგაზრდობაა მსოფლიოში. ჩვენი პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით მას ყველა პირობები აქვს შექმნილი შრომისა და სწავლისათვის. საბჭოების ქვეყნის ჯაბუკებსა და ქალიშვილებს მინიჭებული აქვთ უდიდესი უფლებანი—შრომის, განათლების, დასვენების უფლება.

ჩვენს სამშობლოს იმედით შეჰყურებს პროგრესული კაცობრიობა. იმ დღეებში, როცა ყველა ჯარის რეაქციონერები, იმპერიალიზმის თავლაებული მოციქულები, ცდილობენ დაანთონ ახალი მსოფლიო ომის ხანძარი, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო დემოკრატიის, მშვიდობის ძალების ურჩეველ ბურჯად აღმართულა მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა ახალგაზრდობა, ისევე როგორც ასეულ მილიონობით პატიოსანი ადამიანი მთელი დედამიწის ზურგზე, დიდად მადლობელი არიან თქვენი, ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ, იმ დაუღალავი მოღვაწეობისათვის, რასაც თქვენ ეწევით საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნული სტალინური საგარეო პოლიტიკის, მშვიდობისა და ყველა ხალხის უმშრომელთა პოლიტიკის განსახორციელებლად.

მტკიცე პირობას, კომკავშირულ სიტყვას გაძლევთ, რომ მთელ ჩვენს ძალებს, ცოდნასა და ენერგიას მიეტანთ სამშობლოს სამსხვერპლოზე, ჩვენი საქმეებით ყოველმხრივ შეეფუფოთ ხელ მისი ძლიერების განმტკიცებას.

გაუმარჯოს სახელოვანი ლენინურ-სტალინური კომკავშირის ოცდამეათე წლისთავს!

გაუმარჯოს საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნული სტალინურ საგარეო პოლიტიკას!

გაუმარჯოს ჩვენს. საყვარელ სამშობლოს!

გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად პარტიას—საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს!

დიდება ხალხთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს — ჩვენს შშობლიურ სტალინს!

მოსკოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ამხანაგ ლ. პ. ბერიას

ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძეო!

თბილისის კომკავშირული აქტივის საზეიმო კრება პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი ლენინურ-სტალინური კომკავშირის 30 წლისთავისადმი, მხურვალე კომკავშირულ სალამს გიძღვნით თქვენ, ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამჩენელ მოღვაწეს!

მრავალი წლის მანძილზე, სათავეში ედგენით რა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, თქვენ განუწყვეტლივ ზრდიდით ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობას კომუნიზმის სულისკვეთებით, დედა-სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით.

თქვენ ალაფრთოვანებდით ახალგაზრდობას ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის ქარხნებში, ფაბრიკებში, საკოლმეურნეოებში მინდვრებზე. თქვენ ეწერგვადით მას სწავლის სიყვარულს, მეცნიერების მუშვერკალების დაუფლებისაში მისწრაფებას, ზრუნავდით მისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

თქვენი შესანიშნავი ნაშრომი „ამპერიალიზმის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" შეეფიდა ბოლშევიზმის გმირული ისტორიის დიად მატიანეში, თვითეული კომუნისტისა და კომკავშირელის, თვითეული საბჭოთა ადამიანის ნიადაგსახმარი წიგნი ეახდა.

ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების შუშობაში თქვენ ნერგავდით ბოლშევიკურ სტილს, აწრთობდით და ზრდიდით საქართველოს ახალგაზრდობას ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

როცა ვერაგი მტერი თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს, რომელსაც მიმეკედინებელი საფრთხე დაემუქრა, საქართველოს ახალგაზრდობა საბჭოების ქვეყნის ყველა სხვა მოძმე ხალხთა შიერმთან ერთად ერთსულოვანად აღსდგა საყვარელი სამშობლოს დასაცავად. საძულველ მტერთან ბრძოლაში კომკავშირელები, ჯაბუკები და ქალიშვილები თავადდებისა და გმირობის ბრწყინვალე მაგალითებს გვიჩვენებდნენ.

კავკასიის დაცვის მძიმე დღეებში თქვენ ალაფრთოვანებდით მამაც საბჭოთა მეომრებს, რომლებიც ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხებს გერმანელ ფაშისტთა ურდოებისაგან იცავდნენ. ახორციელებდით რა კავკასიის დაცვის სტალინურ გეგმას, თქვენ გაიერთიანეთ ფრონტისა და ზურგის. ლონისძიებანი, სათავეში ჩაუდექით მტრის წინააღმდეგ ბრძოლას. ფაშისტთა ურდოები უკუგდებულ და მოსპობილ იქნენ.

ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა ფაშისტურ გერმანიაზე და იმპერიალისტურ იაპონიაზე. ჩვენ კვლავ შეეფდექით მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, წარმატებით ვახორციელებთ ომისშემდგომი ხუთწლედის დიად საშეშოთა სტალინურ გეგმას.

ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძეო!

საქართველოს კომკავშირსა და ახალგაზრდობას, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა შშრომელს, მუდამ ახსოვთ თქვენი მითითებანი იმის შესახებ, რომ საბჭოთა სერიოზულად გავაფართოოთ წარმოება შინაგანი ნედლეულის ბაზაზე, შემდგომ განვავითაროთ სუტტროპიული კულტურები, გავადიდოთ ნათესი ფართობები, გავზარდოთ მოსავლიანობა.

ბოლშევიკური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული კომკავშირელები და ახალგაზრდობა მთელი ძალებით იბრძვიან იმისათვის, რომ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი ოთხ წელიწადში შეასრულონ.

რესპუბლიკის ფაბრიკებსა და ქარხნებში, ტრანსპორტზე და ახალშენებლობებზე, ინდუსტრიულ რუსთავში და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის შშენებლობაზე, მარგანეცის მაღაროებში და ჭკარაშრის შახტებში, — ყველგან თავდადებულად შრომობს ახალგაზრდობა. სოციალისტურ მინდვრებზე და პლანტაციებში ახალ წარმატებებს აღწევს სოფლის ახალგაზრდობა, რომელიც ფართოდ იყენებს მოწინავე მიჩურჩნული მეცნიერების მეთოდებს.

დღეს ლენინურ-სტალინურ კომკავშირს 30 წელი შეესრულება. ამ სასახარელო დღესასწაულის დღეს ფიცსა ვდებთ, რომ საქართველოს კომკავშირი კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავს თავის რიგებს ბოლშევიკების დიადი პარტიის გარშემო, ხალხთა ბელადის, ახალგაზრდობის მამის, მასწავლებლისა და მეგობრის ამხანაგ სტალინის გარშემო. დაუღალავად ვიმუშავებთ იმისათვის, რომ დაეუფლოთ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ეულეველ მოძღვრებას, გავიფართოოთ კულტურული ჰორიზონტი. კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობას მიზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდისათვის, ახალგაზრდობის დასარაზმავად პარტიისა და თავიდან ბიერ ხალხს წინაშე დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის. საქართველოს კომკავშირი კვლავაც საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი იქნება.

დაე ცოცხლდეს და ჰყვავდეს ჩვენი მძლავრი სამშობლო!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას — საბჭოთა ხალხის აღმფრთოვანებელს, ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, ერთგულ სტალინელს—ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

დიდება ხალხთა ბრძენ ბელადს, საბჭოთა ახალგაზრდობის მამას, მასწავლებელსა და მეგობარს, ჩვენს შშობლიურ და საყვარელ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

40 მილიონ მანეთზე მეტი 51 მილიონის ანგარიშში

საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და ახალ შშენებლობათა კოლექტივების მიერ ხალხთა ბელადის დიდი სტალინისათვის გაგზავნილი წერილში აღნიშნულია თბილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა ვალდებულება — მიმდინარე წლის ბოლოსთვის სამშობლოს მისცეს 51 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. ამ ვალდებულების პირნათლად შესრულებისათვის ბრძოლაში დაწინაურდენ თბილისის მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივები. შეჯამებული ცნობების მიხედვით, თბილისის 59 საწარმოში ზეგეგმითმა დაგროვებამ უკვე 40.438.000 მანეთს მიაღწია.

ზეგეგმითი დაგროვების წლიური ვალდებულებები გაანაღდეს:

ორჯონიკიძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნის, ჩაის გადამშენი ფაბრიკის, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, საინსტრუმენტო ქარხნის, მეორე საკონდიტერო ფაბრიკის, პირველი პურსაცხობი ქარხნის, წისქვილკომბინატის, ჭიაღაფის ფაბრიკის, სპილენძსგალნაკი ქარხნის, თამბაქოს სიგარეტნაკიო და ღიანდაგსარემონტო ქარხნებისა და რამდენიმე სხვა საწარმოს კოლექტივებმა.

იზრდება წლიური გეგმის შემსრულებელ საწარმოთა რიცხვი

დღითიდღე იზრდება თბილისის ინ მოწინავე საწარმოთა რიცხვი, რომლებიც წარმატებით ასრულებენ სოციალისტურ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, ვადამდე ანაღდებენ წლიურ საწარმოო გეგმებს.

თბილისის მაუდ-კამბოლის ფაბრიკამ (დირექტორი ნ. თუმანიშვილი), რომელსაც ნაკისრი ჰქონდა ამ გეგმის შესრულება 7 ნოემბრისათვის, წლიური საწარმოო დავალება 28 ოქტომბერს გაანაღდა. 2.200.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვების ანგარიშში, რაც ფაბრიკის კოლექტივმა წლის ბოლოსთვის უნდა მიიღოს, 9 თვეში უკვე მიიღწია 1.676.000 მანეთი დაგროვებას.

სამსხეფილი-მექანიკურმა ქარხანამ (დირექტორი გ. ბარძიმოვი) გეგმა შეასრულა 28 ოქტომბრის და წლის ბოლოსთვის 400.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვების ანგარიშში უკვე მიაღწია 379.000 მანეთ დაგროვებას.

კუიბიშევის სახელობის ხის დამამუშავებელმა ქარხანამ (დირექტორი ი. გორგიაშვილი) გეგმა შეასრულა 25 ოქტომბერს და ამასთან პროდუქციის თვითღირებულება გეგმით გათვალისწინებულის გადამეტებით შემცირა 3,8 პროცენტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ოცდაათი წელი

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. ა. მიხაილოვის მოხსენება კომკავშირული აქტივის საზეიმო კრებაზე სსრ კავშირის დიდ თეატრში 1948 წლის 29 ოქტომბერს

I

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ ლენინისა და სტალინის მიერ საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის დაარსების ოცდაათი წლისთავს. კომკავშირის იუბილე მთელი საბჭოთა ხალხის დღესასწაულია. ჩვენი ხალხი კანონიერად ამაყობს თავისი ახალგაზრდობით და სრული საფუძვლით ამყარებს მასზე დიდ იმედს.

კომკავშირი ბოლშევიკური პარტიის პირმშოა. მის შექმნას წინ უძღოდა ლენინ-სტალინის პარტიის მრავალი წლის მუშაობა მშრომელი ახალგაზრდობის დასარაზმავად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი იშვა საბჭოების ხელისუფლებისათვის ბრძოლების ქარცეცხლში. მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირების პირველი ყრილობა შესდგა 1918 წლის 29 ოქტომბერს მოსკოვში. ყრილობა ძირითად ამოცანას იმაში ხედავდა, რომ გაეერთიანებინა ცალკე დაქსაქსული მუშა და გლეხი ახალგაზრდობის ორგანიზაციები ერთ, სრულიად რუსეთის ორგანიზაციად, შეექმნა მშრომელი ახალგაზრდობის მოძრაობის ხელმძღვანელობის ერთიანი ცენტრი. ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით. ყრილობას დიდ ყურადღებას უთმობდა ლენინი.

ყრილობა ჩატარდა ბოლშევიკური ლოზუნგებით. ყრილობის დოკუმენტებში აღნიშნული იყო, რომ კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი სოლიდარობას უცხადებს რუსეთის კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) და მიზნად ისახავს კომუნიზმის იდეების გავრცელებას და საბჭოთა რუსეთის აქტიურ მშენებლობაში მუშა და გლეხი ახალგაზრდობის ჩაბმას. ყრილობამ დაამტკიცა წესდება და აირჩია ცენტრალური კომიტეტი. ასე ჩაეყარა საფუძველი კომკავშირს.

ლენინმა და სტალინმა შეიმუშავეს კომკავშირის ძირითადი პრინციპები. ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ბელადების ნაშრომებში ამომწურავი სისრულით არის შემუშავებული კომკავშირის ძირითადი საკითხები, განსაზღვრულია მისი ამოცანები.

ლენინური კომკავშირი, როგორც ლენინი და სტალინი გვასწავლიან, არის მოწინავე საბჭოთა ახალგაზრდობის მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაცია. კომკავშირის მთავარი მოვალეობაა დაეხმაროს პარტიას მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდაში. ლენინურმა კომკავშირმა უნდა ჩააბას მთელი მშრომელი ახალგაზრდობა აქტიურ მუშაობაში ახალი საზოგადოების ასაგებად, ჩაუნერგოს მას სიყვარული შრომისა და ცოდნისადმი.

აი რას ამბობს ამის შესახებ ლენინი: „კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია".

და შემდეგ:

„კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი უნდა იყოს დამკვრელი ჯგუფი, რომელიც ხელს შეუწყობს ყოველ მუშაობას, იჩენს ინიციატივას, თაოსნობას".

ამხანაგ სტალინის კლასიკური განმარტებით ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი არის რეზერვი, საიდანაც პარტია იღებს შევსებას, და ამასთან ერთად, იარაღი პარტიის ხელში, რომლითაც თავის გავლენას უმორჩილებს ახალგაზრდობის მასებს.

ახალგაზრდობის კავშირი, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — არის „ორგანიზაცია არაპარტიული, მაგრამ ემხრობა პარტიას. მისი ამოცანაა დაეხმაროს პარტიას სოციალიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. იგი ახალგაზრდა რეზერვებს აძლევს პროლეტარიატის ყველა დანარჩენ მასობრივ ორგანიზაციას მართვის ყველა დარგში".

ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ პარტიული ხელმძღვანელობა მთავარი და გადამწყვეტია კომკავშირის მთელ მუშაობაში.

„პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა,—ამბობს ამხანაგი სტალინი, — ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანია კომკავშირის მთელ მუშაობაში".

კომკავშირის მთელი ისტორია კომუნისტური პარტიის იდეების გამარჯვებისათვის თავდადებული ბრძოლის ისტორიაა. (ტაში).

სამოქალაქო ომის წლებში ათეულ ათასობით ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა საგმირო საქმეებით ბრძოლის ველზე ცხადჰყვეს თავიანთი ერთგულება ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი.

სოციალისტური მშენებლობის წლებში კომკავშირელები უფროს ამხანაგებთან მხარდამხარ აშენებდნენ ქარხნების კორპუსებს, საფუძველს უყრიდნენ ახალ ქალაქებს, აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაში.

დიდი სამამულო ომის წლებში კომკავშირელებმა, საბჭოთა ახალგაზრდობამ განსაცვიფრებელი სიმტკიცე და გმირობა გამოიჩინეს, ღირსეულად გაუძლეს ძნელ განსაცდელს, კომკავშირის ისტორიაში ჩასწერეს ახალი შესანიშნავი ფურცლები.

ომისშემდგომ დროში ახალგაზრდა პატრიოტები თავდადებით იბრძვიან ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, სტალინური ხუთწლედის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

კომკავშირის რიგებში აღიზარდა არაერთი ადამიანი, რომლებიც შემდეგ თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, სამხედრო სპეციალისტები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები გახდნენ.

პირველი ყრილობის მოწვევისათვის კომკავშირი თავის რიგებში ითვლიდა 22 ათასზე ცოტა მეტ წევრს. ამჟამად კომკავშირი აერთიანებს 9 მილიონ მოწინავე საბჭოთა ახალგაზრდას. შრომაში და ლენინ-სტალინის საქმისათვის ბრძოლაში იზრდებოდა, კაჟდებოდა და ვაჟკაცდებოდა კომკავშირი. დღეს პრესაში გამოქვეყნებულია კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება კომკავშირისადმი მისი ოცდაათი წლისთავის გამო. ამ ისტორიულ დოკუმენტში შეჯამებულია კომკავშირის საბრძოლო გზის შედეგი და მოცემულია მისი მუშაობის მაღალი შეფასება.

„კომკავშირმა, — ნათქვამია მისალმებაში, — სამშობლოს თავდადებული სამსახურით და ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულებით მთელი ჩვენი ხალხის პატივისცემა და სიყვარული მოიხვეჭა. კომკავშირმა შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა იმის მეოხებით, რომ მუდამ იყო ბოლშევიკური პარტიის ერთგული თანაშემწე და ახალგაზრდა თაობის მოწინავე ადამიანებს ზრდიდა ლენინიზმის სულისკვეთებით".

თავის წარმატებებს კომკავშირი უმადლის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას. პარტია ყურადღებით და ყოველდღიურად წარმართავდა კომკავშირის მთელ მუშაობას. ბოლშევიკური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი დაუღალავად ზრუნავენ, რომ კომკავშირის მთელი მუშაობა გამსჭვალული იყოს მაღალი პარტიულობის სულისკვეთებით. პარტია მზრუნველობით იცავს კომკავშირს ყოველგვარი უცხო, ვამხრწნელი გავლენისაგან. ისტორიაში იყო მაგალითები, როცა პარტიისა და ხალხის მტრები ცდილობდნენ ჩამოეშორებინათ კომკავშირი ბოლშევიკური პარტიისაგან. და ყოველთვის ეს ცდები მტრის იმედების სრული მარცხით მთავრდებოდა.

ბოლშევიკურ პარტიაში განსახიერებულია ჩვენთვის ყველაზე მოწინავე, ბრძნული და კეთილშობილური. ყოველთვის და ყველგან კომკავშირი იყო და იქნება კომუნიზმის დროშის, ლენინ-სტალინის უკვდავი იდეების ერთგული. (მქუხარე ტაში).

II

ლენინი და სტალინი ახალგაზრდობას მოუწოდებენ თავდადებული შრომისაკენ სამშობლოს, ხალხის საკეთილდღეოდ. კომკავშირი პატიოსნად ასრულებს ამ განაწესს.

კომკავშირის ისტორია აღსავსეა სოციალისტური მშენებლობის ბოლშევიკური გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში თავდადებული შრომითი გმირობისა და რევოლუციური ენთუზიაზმის მაგალითებით.

პირველი ხუთწლედიდან დღემდე ლენინური კომკავშირი, ახალგაზრდობა ყოველთვის არის შრომაში, კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა ჩვენმა კომკავშირმა სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის გაჩაღებაში, ახალი ტექნიკის ათვისებაში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის კადრების მომზადებაში.

ახლა საბჭოთა ადამიანები წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის გეგმას. ყოველდღე იცვლება ჩვენი ქვეყნის სახე. ის, რაც გუშინ გეგმა იყო, დღეს უკვე განხორციელებულია. ზედიზედ დგებიან მწყობრში უდიდესი საწარმოები. საფუძველი ეყრება ახალ მშენებლობას. შენდება მტრის მიერ დანგრეული ქალაქები და სოფლები. შენდება და ლამაზდება ჩვენი საყვარელი მოსკოვი.

მთელ ამ დაუღალავ შემოქმედებით მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს ჩვენი ახალგაზრდობა. ჩვენ გვაქვს სახალხო მეურნეობის მთელი დარგები, რომლებშიც ახალგაზრდობა მომუშავეთა საერთო შემადგენლობის თითქმის ნახევარს შეადგენს. ახალგაზრდა მშრომელნი სერიოზულ გავლენას ახდენენ საწარმოო გეგმების შესრულებაზე. გამომგონებლობის, გამჭრიახობის გამოვლინების მრავალ ფაქტში სჩანს ახალგაზრდობის ზრუნვა იმისათვის, რომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულოს ჩვენი გეგმები.

საბჭოთა ახალგაზრდობას ახასიათებს შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულება. სამუდამოდ წავიდა და აღარ დაბრუნდება არასოდეს წარსული, როდესაც შრომა იყო მძიმე, სამარცხვინო ტვირთი. დადგა ახალი დრო, როცა შრომა გახდა სიცოცხლის სიხარული, როცა იგი თავმომაბეზრებელი ვალდებულებიდან გადაიქცა ღირსების, დიდების, მამაცობისა და გმირობის საქმედ.

ახალგაზრდობამ ღრმად შეითვისა ლენინის მითითება, რომ შრომის ნაყოფიერება, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის. ასობით ათასი ახალგაზრდა მუშა ვადამდე ასრულებს წლიურ დავალებებს. მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში —ქვანახშირის, მეტალურგიულ. ნავთის მრეწველობის დარგებში, მშენებლობებზე—ყველგან ახალგაზრდობა წარმატებით ეუფლება ახალ ტექნიკას, რომელიც უზრუნველჰყოფს შრომის ნაყოფიერების ახალ აღმავლობას. შრომაში, კომუნიზმის მშენებლობისათვის აქტიურ ბრძოლაში ჩვენი ახალგაზრდობა გადის ბოლშევიკური აღზრდის სკოლას.

ლენინს და სტალინს არაერთხელ აღუნიშნავთ ხაზგასმით, რომ მომჭირნეობისათვის ზრუნვა, სახალხო სიკეთისადმი ფრთხილი მოპყრობა არის კომუნისტური შეგნების, საზოგადოების წინაშე როგითი მშრომელების თავიანთი მოვალეობისადმი ახალი დამოკიდებულების გამოვლინება. ის ფაქტი, რომ ახლა ახალგაზრდობის მონაწილეობა ზეგეგმითი დაგროვებისათვის ბრძოლაში მასობრივი ხასიათისაა, მჭევრმეტყველურად მოწმობს ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური შეგნების ზრდას. საწარმოებში მუშაობენ ათიათასობით კომკავშირულ-ახალგაზრდული საგუშაგოები, რომლებიც აღწევენ ნედლეულის, მასალის, ინსტრუმენტის, ელექტროენერგიის, სათბობის მომჭირნეობით ხარჯვას. ეს მუშაობა დაეხმარა სახელმწიფოს დაეზოგა ასობით მილიონი მანეთი.

ჩვენი მრეწველობის სწრაფმა ზრდამ მოითხოვა ახალი კადრების დიდი რაოდენობა. ომისშემდგომი წლების მანძილზე მრეწველობაში და ტრანსპორტზე მოვიდა 4,5 მილიონზე მეტი ახალგაზრდა მუშა, მათ შორის ორ მილიონზე მეტი სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებიდან და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებიდან. ასეთ პირობებში კომკავშირი ვალდებული იყო ყურადღებით მოპყრობოდა ახალი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 750 ათასამდე ახალგაზრდამ აიმაღლა კვალიფიკაცია.

ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის ომისშემდგომი განვითარება მიმდინარეობს მუშაობის მაღალი ხარისხისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის ათვისებისა და დანერგვისათვის, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის, წარმოებაში სისუფთავისა და კულტურისათვის, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის ნიშნით. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ კომკავშირული ორგანიზაციები უაღრესად აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ ამოცანათა გადაჭრაში. საჭიროა აგრეთვე, რომ მომავალშიც კომკავშირული ორგანიზაციები ზრუნავდნენ ახალგაზრდობის პროფესიული ოსტატობის ზრდისათვის, გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობდნენ ზრუნვას მისი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მოწყობის, კულტურისა და კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა ჩვენმა სოფლის მეურნეობამ. წელს მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა მიაღწია ომამდელ 1940 წლის დონეს, მოსავლიანობამ გადააჭარბა ომამდელ დონეს ამას ხელი ვერ შეუშალა ვერც ომის მძიმე შედეგებმა, ვერც 1946 წლის გვალვამ.

ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა მთელ კოლმეურნე გლეხობასთან ერთად მტკიცედ და თავდადებით იბრძვის უხვი მოსავლისათვის. ამას მჭევრმეტყველურად ადასტურებს მრავალი ათასი კომკავშირელის ორდენებით დაჯილდოება. 302 კომკავშირელსა და ახალგაზრდა კოლმეურნეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. თავისი შრომით, ცოდნით სოფლის კომკავშირელებმა დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭეს. ასიათასობით მათგანი მუშაობს მერგოლეურებად, ბრიგადირებად, არჩეულია კოლმეურნეობათა გამგეობებში, სასოფლო და რაიონული საბჭოების დეპუტატებად.

შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ახალგაზრდა კოლმეურნენი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ახალ წარმატებებს მოიპოვებენ მოსავლიანობის გადიდების, საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. თვითეული კომკავშირელის, სოფლის ახალგაზრდის ღირსების საქმეა უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღოს სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიან და ტყე-ველიან რაიონებში უხვი და მყარი მოსავლისათვის ბრძოლის სტალინური პროგრამის განხორციელებაში.

ჩვენი მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში ახლა ჩვენ გვყავს საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრები. ამ კადრების შექმნაში დიდი როლი შეასრულა კომკავშირმა, რომელიც პარტიის ხელმძღვანელობით ზრდიდა ჩვენს მშრომელ ახალგაზრდობას, ეხმარებოდა მას დაეუფლებოდა ცოდნას. შეუძლებელია ახლა გამონახოს მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის ისეთი დარგი, სადაც არ მუშაობდნენ კომკავშირის აღზრდილნი, რომლებიც გახდნენ თავიანთი საქმის მცოდნენი და აქტიურად მონაწილეობენ საერთო-სახალხო შრომაში.

ჩვენ ტრადიციად გადაგვექცა აღვნიშნოთ დღესასწაულები ახალი შრომითი გამარჯვებებით. ასე იყო კომკავშირის იუბილეს წინაც. ახალგაზრდობა ცდილობდა გაეხარებინა სამშობლო და ხალხი ახალი წარმატებებით.

კომკავშირის ოცდაათი წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მილიონობით ახალგაზრდები და კოლმეურნენი.

ფართო მასშტაბი მიიღო სოციალისტურმა შეჯიბრებამ წლიური ნორმების ვადამდე შესრულებისათვის. არის ისეთი საწარმოები, სადაც წლიური ნორმების შესრულება ყველა ახალგაზრდა მუშამ დაამთავრა. სულ ჩვენს ქვეყანაში კომკავშირის წლისთავისათვის წლიური ნორმები შეასრულა დაახლოებით მილიონნახევარმა ახალგაზრდა მუშამ. 450 ათასზე მეტი ახალგაზრდა მუშაობს 1950 წლის ანგარიშში, და 100 ათასზე მეტმა შეასრულა ხუთი და მეტი წლის ნორმები.

კომკავშირის ოცდაათი წლისთავის წინ ბევრ ქალაქსა და ოლქში ახალგაზრდობა გამოვიდა კომუნისტურ კვირაობაზე. მარტო 24 ოქტომბერს სამუშაოზე გამოვიდა ენთუზიასტთა ვეებერთელა არმია—7 მილიონზე მეტი კაცი. კვირაობის მონაწილეებმა ძალიან დიდი სამუშაო შეასრულეს.

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის პატაკები ახალგაზრდობის შრომითი გამარჯვებების შესახებ. ახალგაზრდა მშრომელებმა გეგმის გადამეტებით მოიპოვეს ასიათასობით ტონა ქვანახშირი, ნავთი, გამოადნეს ათიათასობით ტონა ლითონი, დაამზადეს ათასობით ახალი მანქანა, მილიონობით მეტრი ქსოვილი, ააგეს ახალი შენობები. ქალაქებში, დაბებში, სასკოლო ნაკვეთებზე დარგულია მილიონობით ხე და ბუჩქი.

უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულის გრძნობით ჩვენი ახალგაზრდობა ამ თავის შრომას უძღვნის ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს. (მქუხარე ტაში).

ლენინი და სტალინი ასწავლიან ახალგაზრდობას დაუღალავად დაეუფლონ ცოდნას. კომკავშირი ღირსეულად ასრულებს ამ განაწესს.

საბჭოთა სოციალისტურმა წყობილებამ ახალგაზრდობას განსაკუთრებული შესაძლებლობა შეუქმნა მეცნიერების, კულტურის, კაცობრიობის მოწინავე აზრის ყველა მიღწევის დასაუფლებლად.

ჩვენში თითქმის ყველა სწავლობს. ჩვენს ქვეყანაში გაშლილია უაღრესად ფართო ქსელი სასწავლებლებისა: სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, სხვადასხვა სასწავლებლების, სტახანოვური სკოლებისა ქალაქად და აგროსკოლებისა სოფლად. ხოლო რამდენი მშრომელი ეუფლება ცოდნას კურსებზე, სხვადასხვაგვარ წრეებში, საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში.

სახალხო განათლების მასშტაბით საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ყველა ქვეყანაზე წინ არის. ჩვენში განხორციელებულია საყოველთაო შვიდწლიანი განათლება. დაწყებითს, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში 33 მილიონი ბავშვი სწავლობს. წლითიწლობით იზრდება მოსწავლეთა წარმატება. დღეს კომკავშირი მადლიერებით იგონებს ჩვენს შესანიშნავ მასწავლებლებს, რომლებმაც მთელი თავიანთი ძალა მოახმარეს ახალგაზრდა თაობის სწავლისა და აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. მოსწავლე კომკავშირელები მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორების პირველი და აქტიური თანაშემწენი არიან.

საბჭოთა სკოლის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს პიონერული ორგანიზაცია. ახლა მის რიგებში 12 მილიონზე მეტი მოსწავლეა. მოდის ნორჩ ლენინელთა ღირსეული თაობა: დაინტერესებულნი, ენერგიულნი, მიზანდასახულნი, რომელთაც თავდადებით უყვართ სამშობლო, პარტია, ჩვენი დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი. მხატვრული თვითმოქმედების, ნორჩ ტექნიკოსთა, მიჩურინელთა, ავიომოდელისტთა, სპორტსმენთა წრეებში, პიონერთა სახლებში იზრდებიან კულტურის ხვალინდელი ოსტატები, შრომის გმირები, ბუნების გამბედავი გარდამქმნელები, კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმის საიმედო განმგრძობნი.

ჩვენს უმაღლეს სკოლებში ამჟამად სწავლობს მილიონზე მეტი სტუდენტი. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კომკავშირელებია. ცოდნის დაუფლებას, თავისი პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებას, საბჭოთა სპეციალისტის პასუხსაგები და საპატიო მუშაობისათვის ყოველმხრივ მომზადებას საბჭოთა სტუდენტობა განიხილავს როგორც სამშობლოს წინაშე პატრიოტული ვალის მოხდას. მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ათიათასობით ნიჭიერი შვილი, ჩვენი, ნამდვილად სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც დაეუფლნენ ცოდნის მწვერვალებს, უკვე შევიდნენ მეცნიერებაში როგორც სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები.

ჩვენს ქვეყანაში კულტურისა და მეცნიერების განსაკუთრებული აყვავების ფონზე უაღრესად თვალსაჩინოდ სჩანს სახალხო განათლების დაცემა კაპიტალისტურ ქვეყნებში და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში. ამ ქვეყნებში ყოველწლიურად ასიათასობით ბავშვი სკოლის კედლებს გარეთ რჩება.

ახლა მსოფლიო კულტურისა და მეცნიერების ცენტრი გადაადგილდა საბჭოთა კავშირში, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში. საბჭოთა მეცნიერები, რომლებსაც ხელმძღვანელობს და წარმართავს ბოლშევიკური პარტია, შეიარაღებულნი მარქსიზმ-ლენინიზმით, იცავენ ყოველივე მოწინავეს თანამედროვე მეცნიერებაში, ამხილებენ ყოველივე რეაქციულს და დრომოჭმულს.

ჩვენმა მეცნიერებამ ასეთი მდგომარეობა იმიტომ დაიკავა, რომ მისი მოღვაწენი შეიარაღებული არიან ლენინისა და სტალინის — რევოლუციური მეცნიერების შემქმნელთა დიადი და ყოვლისშძლე მოძღვრებით. რევოლუციური მეცნიერების შექმნა თვალსაჩინო მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. იგი მიუთითებს მშრომელთ ფართო, სწორ გზას ხვალინდელი დღისაკენ, ურყევი ლოგიკითა და ძალით ამტკიცებს კომუნიზმის გამარჯვების გარდუვალობას.

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ დაუღალავად გავაუმჯობესოთ, განვავითაროთ და გავაფართოვოთ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების საქმე.

კომკავშირში ჩამოყალიბდნენ და გაიზარდნენ შესანიშნავი კადრები, აქტივი, რომელთაც ესმით, თუ რა სურს ბოლშევიკურ პარტიას, და რომელთაც უნარი შესწევთ განახორციელონ მისი მოთხოვნები და ლოზუნგები. ყველამ, ვინც დაკავშირებულია ჩვენი ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური თვისებების ჩამოყალიბებასთან, უნდა ახსოვდეს, რომ სახელმწიფომ, ხალხმა მას ანდო ყველაზე ძვირფასი ჩვენს საზოგადოებაში—ადამიანები.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ სტალინს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ კომკავშირული კადრები, კომკავშირის აქტივი ყველაფერს გააკეთებენ, რათა აღზარდონ ახალგაზრდობა ბოლშევიკური იდეოლოგიის სულისკვეთებით.

ლენინი და სტალინი ასწავლიან ახალგაზრდობას უსაზღვროდ უყვარდეს თავისი სამშობლო, დაუღალავად განამტკიცოს მისი დიდება და ძლიერება, დაიცვას იგი გარეშე და შინაური მტრების ხელყოფისაგან.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ლენინურ-სტალინური კომკავშირი წმიდად ასრულებს პარტიის ამ განაწესს. (ხანგრძლივი ტაში).

სამშობლოსათვის ბრძოლებში კომკავშირელებმა, საბჭოთა ახალგაზრდობამ თავდადებული გმირობა, გამბედაობა და სიმამაცე გამოიჩინეს.

დიდი ხნისა და მტკიცე ურთიერთობით არის დაკავშირებული კომკავშირი ჩვენს შეიარაღებულ ძალებთან. კომკავშირი ამზადებდა და გზავნიდა თავის საუკეთესო შვილებს საშეფო სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ფლოტში. ასიათასობით ჩინებული მფრინავი, არტილერისტი, ტანკისტი, ქვეითი. მეზღვაური მისცა სამშობლოს კომკავშირმა. მისი წიაღიდან გამოვიდა საბჭოთა არმიის მრავალი სახელგანთქმული ოფიცერი, გენერალი, ადმირალი.

საბჭოთა ახალგაზრდობის შესანიშნავი თვისებები, მისი უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი განსაკუთრებული ძალითა და ბრწყინვალებით გამოვლინდა დიდ სამამულო ომში გერმანელ ფაშისტ-დამპყრობთა წინააღმდეგ.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ომის პირველი დღეები, როცა ასიათასობით კომკავშირელი, ჩვენი სამშობლოს ახალგაზრდა პატრიოტები კომკავშირული აქტივის მეთაურობით ნებაყოფლობით მიდიოდა ფრონტზე. კომუნისტებთან ერთად კომკავშირელები იბრძოდნენ ყველაზე საშიშ და პასუხსაგებ უბნებზე. უკვდავი საგმირო საქმეებით ისახელეს თავი იმ კომკავშირელებმა და ახალგაზრდა პატრიოტებმა, რომლებიც პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მუშაობდნენ მტრის ზურგში, იბრძოდნენ პარტიზანულ რაზმებში.

საკმარისია ითქვას, რომ დიდი სამამულო ომის მანძილზე 3,5 ათას კომკავშირელ მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 3,5 მილიონი კომკავშირელი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. მთავრობის მაღალი ჯილდოებით საბრძოლო წარჩინებისათვის ომის წლებში დაჯილდოებულია 100 ათასზე მეტი ქალიშვილი.

მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის პირობებში კომკავშირელები, ჩვენი ახალგაზრდობა არ ივიწყებენ საბჭოთა არმიას, რომელიც ფხიზლად იცავს საყვარელ სამშობლოს მტრის ხელყოფისაგან.

ჩვენ ყოველმხრივ უნდა განვავითაროთ ფიზიკური კულტურა და სპორტი, ჩავაბათ მასობრივ ფიზკულტურულ მუშაობაში კომკავშირელები და ახალგაზრდობა. ჩვენ ყოველმხრივ უნდა განვავითაროთ სასპორტო მუშაობა, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ნებაყოფლობითს სასპორტო საზოგადოებათა და საბჭოთა არმიის, ფლოტისა და ავიაციის ხელშემწყობ საზოგადოებათა მუშაობაში.

სამშობლოს სიყვარული ნიშნავს განამტკიცო ჩვენი სახელოვანი გმირი საბჭოთა არმია.

ამოცანა ის არის, რომ ჩვენ კვლავაც აღვზარდოთ ჯანსაღი, იდეურად და ფიზიკურად გამოწრთობილი ახალგაზრდობა, რომელიც მზად იქნება დასძლიოს სიძნელეები ყოველგვარ პირობაში და ყოველგვარ ფასად, ღირსეულად დაიცვას ჩვენი სამშობლოს— საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ინტერესები. (ტაში).

III

ამხანაგებო!

სულ უფრო მაღლა იწევს კომუნიზმის დიდებული შენობა, რომლის აგებაზეც ნაყოფიერად მუშაობს მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი.

სოციალიზმი მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ყოფაცხოვრებაში. დღევანდელი დღის ყოველდღიურ ფაქტებში ჩვენ ნათლად ვხედავთ ჩვენს კომუნისტურ ხვალინდელ დღეს. იგი შორს აღარ არის, ყოველი დღე გვაახლოვებს სანუკვარ მიზანთან.

ბრძოლასა და შრომაში გაიზარდა და გამოიწრთო ჩვენს ქვეყანაში ახალი ადამიანი — ჩვენი დროის ნამდვილი გმირი.

მდიდარი და საუცხოოა ჩვენი ახალგაზრდობის სულიერი სამყარო, ფართო და მრავალმხრივია ცოდნა, რომელსაც იგი ფლობს, უსაზღვროა მისი სიყვარული ცხოვრებისადმი, დაუცხრომელია მისი საბრძოლო სული, უსაზღვროა მისი რწმენა თავისი საქმისადმი. საბჭოთა ახალგაზრდობა მსოფლიოში ყველაზე ოპტიმისტური და ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ახალგაზრდობაა.

ასეთი ახალგაზრდობა არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ძველ საზოგადოებაში.

ჩვენი დროის გმირის, ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის სახე მკაფიოდ არის გამოხატული ფილმ „ახალგაზრდა გვარდიაში". მარტო კომუნისტური შეხედულებების მქონე, თავისი მიზნის ნათელი შეგნების მქონე ადამიანებს შეუძლიათ ჩაიდინონ ასეთი საგმირო საქმეები.

ახლანდელი ახალგაზრდა მუშა, კოლმეურნე—ეს დიდი კულტურის ადამიანია, რომელიც შემოქმედებითად ეპყრობა თავის მუშაობას, რომელიც მაძიებელი და დაუცხრომელია. ჩვეულებრივი ხდება ფაქტები, როცა ახალგაზრდა მუშები, რომელთაც დიდი ცოდნა აქვთ, გაბედულად იჭრებიან ტექნიკაში, ინჟინრებთან თანამეგობრობით ამსხვრევენ მოძველებულ ცნებებსა და ნორმებს. სოფლად, სოფლის ახალგაზრდობიდან გამოდიან მიჩურინისა და ლისენკოს ახალი მიმდევრები. მოწინავე მეცნიერებით შეიარაღებული ახალგაზრდა კოლმეურნენი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები სპეციალისტებთან კავშირით უმაგალითო მოსავალს აღწევენ.

ჩვენი პარტიის ძალა ის არის, რომ ასეთი ადამიანები ჩვენ მილიონობით გვყავს.

კომუნიზმის აშენება მოითხოვს გონებრივი და ფიზიკური შრომის, ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების ლიკვიდაციას. ბოლშევიკურ პარტიას მტკიცედ მიჰყავს ჩვენი ქვეყანა ამ დაპირისპირებათა ლიკვიდაციისაკენ. მეცნიერებისა და კულტურის ბრწყინვალე აყვავებაში, სოფლის მეურნეობის შემდგომი მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის გრანდიოზულ გეგმებში, ბუნების ღრმა გარდაქმნის გეგმებში, რაც გათვალისწინებულია დღემდე უმაგალითო მოსავლის მისაღწევად, პარტიის ზრუნვაში კულტურის, საბჭოთა ადამიანების სულიერი სახის შემდგომი ზრდისათვის, პარტიის მისწრაფებაში აღზარდოს ახალი თაობა მხნე, საკუთარი ძალების რწმენით — ყოველივე ამაში მოსჩანს ჩვენი შეუდრეკელი მისწრაფება წინსვლისაკენ.

ამ სამუშაოს წარმატება ლენინ-სტალინის დიადი საქმის გამარჯვების საწინდარია.

კომუნისტური მშენებლობის ამოცანები მოითხოვენ ჩვენგან მეტ მუშაობას ჩვენი ადამიანების შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად. ისე, როგორც არასოდეს, დიდდება ახლა მოზარდი თაობის აღზრდის როლი და მნიშვნელობა. აქედან გამოდის, რომ ახალ პირობებში იზრდება კომკავშირის მუშაობის მნიშვნელობაც. კომკავშირი ვალდებულია უნარიანად გამოიყენოს ბოლშევიკური პარტიის მიერ შექმნილი უდიდესი შესაძლებლობანი ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის. იდეოლოგიური ცხოვრება კომკავშირში წყაროსავით უნდა სჩქეფდეს.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ამხ. ნ. ა. მიხაილოვის მოხსენების დასასრული

ჩვენში კაპიტალიზმის ნაშთების არსებობა მოითხოვს კრიტიკისა და თვითკრიტიკის — ამ ნაცადი საშუალების ფართოდ გაშლას, საშუალებისა, რომლითაც განიკურნება მრავალი მანკი და ნაკლოვანება, რომელიც აღკვეთავს დაავადებას და ახალ ძალებს ჩაუნერგავს ჩვენს ადამიანებს.

ჩვენი სამშობლო ახალი იდეების მედროშეა, სიმართლის მებაირახტრეა, ყველა მშრომელის, მთელი პროგრესული კაცობრიობის ბურჯი და იმედია. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ სწორედ საბჭოთა კავშირი მეთაურობს ანტიიმპერიალისტურ, დემოკრატიულ ბანაკს, რომლის ძალები დღითიდღე იზრდება. ვერავითარი ხრიკები, მუქარა, პროვოკაციები, ცილისწამება, რასაც ასე უხვად მიმართავენ ინგლისამერიკის რეაქციონერები, ვერ შეასუსტებენ დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალებს.

კაპიტალიზმის ნგრევის პროცესი სულ უფრო თვალსაჩინოა. ვერაფერი ვერ შეაჩერებს ამ პროცესს. მაგრამ, რაც უფრო ახლოა კაპიტალიზმის დასასრული, მით უფრო გააფთრებით ეწინააღმდეგება იგი თავის დაღუპვას, მით უფრო მეტ სიძულვილს გრძნობს იგი ყოველივე ახლისადმი, პროგრესულისადმი. ზოგიერთ უცხოელ ვაჟბატონს არ მოსწონს, რომ ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ახალი სოციალისტური წესრიგი დავამყარეთ. დიახ, ჩვენ გადავეჩვიეთ იმას, რომ გვიბრძანებდნენ, ჩვენ

რომ ძალებს არ დავიშურებთ ლენინ-სტალინის დიადი იდეების გამარჯვებისათვის! მთელი ენერგია და ცოდნა მოვახმაროთ სამშობლოსათვის სამსახურს! ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ ლენინურად, სტალინურად! **(მქუხარე ტაში).**

ჩვენი იუბილე დაემთხვა საკავშირო ალკკ მორიგი XI ყრილობისათვის მზადების დასაწყისს. ყრილობის მოწვევა დიდი პოლიტიკური მოვლენაა კომკავშირის ცხოვრებაში. ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმმა მოუწოდა კომკავშირულ ორგანიზაციებს, კომკავშირის ყველა წევრს ყრილობისათვის მზადება ჩაატარონ კომუნიზმის სულისკვეთებით, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, ახალგაზრდობის აღზრდის ჩვენი მუშაობის გაუმჯობესების, ომისშემდგომი ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესასრულებლად კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მობილიზაციის ნიშნით.

ყრილობისათვის მზადება ჩვენ უნდა ჩავატაროთ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის, ხელმძღვანელობაში ახალი გაზრდილი კადრების გაბედული დაწინაურების საფუძველზე.

ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით მიღწეულით. ჩვენს რიგებში ადგილი არ უნდა ექნეს თვითდამშვიდებას, ბაქიო-

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ კომკავშირულ მუშაკთა, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და კულტურის დარგის ახალგაზრდა მოწინავე მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში წარმატებით მუშაობისათვის და სოციალისტურ მშენებლობაში ნაყოფიერი მონაწილეობისათვის, საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 30 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **აგლაძე** ელენე ვლადიმერის ასული — ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი,

2. **ადამია** ვლადიმერ ვასილის-ძე — ცხაკაიას რაიონის სოფელ ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდათა რგოლის მერგოლური,

3. **აზარიანი** არუთინ აკოფის-ძე — ახალქალაქის რაიონის აზავრეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი,

4. **ათანელიშვილი** თეიმურაზ ვარდოს-ძე — ტრესტ „საქნავთის“ წითელწყაროს საბურღი კანტორის კომკავშირელ მებურღეთა ბრიგადის მბურღავი,

5. **ალავიძე** ევგენი სამსონის-ძე — ცაგერის რაიონის ზემო საირმის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი,

6. **ალექსანდრია** გივი ივანეს-ძე — ფოთის სავაჭრო ნავსადგურის სტახანოველი,

7. **არევაძე** ევგენი მიხეილის-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელი,

30. **გუბელაძე** ვასასი რაჟდენის ასული — ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის სტახანოველი,

31. **გურგენიძე** კონსტანტინე ლუკას-ძე — საქართველოს ალკკ ც. კ-ის მდივანი კადრების დარგში,

32. **გუჯაბიძე** ვლადიმერ ბართლომეს-ძე — საქართველოს ალკკ ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი,

33. **დავითაშვილი** შაქრო გახას-ძე — ყაზბეგის რაიონის მშრომელთა დეპუტატების გორისციხის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე,

34. **დავითაძე** ფატმე რამიზის ასული — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლიმონტრესტის გონიოს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის სტახანოველი,

35. **დანელია** მელიტონ მიხეილის-ძე — საქართველოს ალკკ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მდივანი,

36. **დაუშვილი** შოთა პორფილეს-ძე — სსრკ ჩემპიონი „სამბოს“ ჭიდაობაში,

37. **დეკანოსიძე** ელენე ნიკოლოზის ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი მუშაკი,

38. **დოიჯაშვილი** ლენტო ალექსის-ძე — საქართველოს ალკკ გორის რაიკომის მდივანი,

39. **ენდელაძე** ვატენტი აკაკის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მაიაკოვსკის კოლმეურნეობის მეღვინეობის ბრიგადის მერგოლური,

40. **ეპიტაშვილი** გიორგი გიორგის-ძე — ბავშვთა ცენტრალური ტექნიკური სადგურის დირექტორი,

41. **ვაისერმანი** კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე — კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის დირექტორი,

42. **ზასეევი** ილია კონსტანტინეს-ძე — კვაისის მაღაროს სტახანოველი,

43. **ზედგინიძე** ანა რევაზის ასული — დუშეთის რაიონის მჭადიჯვრის საშუალო სკოლის მასწავლებელი,

44. **ზოდელავა** ივლიანე სამსონის-ძე — საქართველოს ალკკ ც. კ-ის პირველი მდივანი,

67. **კოშატაშიან** ათანასე ვაჰარშაკის-ძე — ახალქალაქის რაიონის სოფელ დილისკას მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი,

68. **კოჩლამე** მერი ილიას ასული — საქართველოს სსრ ჩემპიონი ქალთა შორის მძლეოსნობაში,

69. **კუბლაშვილი** გრიგოლ ვასილის-ძე — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ სტალინის სახელობის შახტის მნგრეველი,

70. **კუპავა** ვალერიან პლატონის-ძე — საქართველოს ალკკ ცხაკაიას რაიკომის მდივანი,

104. **ტოტოშვილი** ამირან ლევანის-ძე — ქარელის მტს-ის ტრაქტორისტი,

105. **ტყეშელაშვილი** ლილი ემელიანეს ასული — საქართველოს ალკკ ც. კ-ის სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილების გამგე,

106. **ურიდია** გივი ავქსენტის-ძე — საქართველოს ალკკ სოხუმის ქალაქკომის პირველი მდივანი,

138. **ჯიქია** ლუცია მალაქიას ასული — საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიკომის მდივანი,

139. **ჯიჯავაძე** გული ჰუსეინის ასული — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1948 წ. 29 ოქტომბერი. ქ. თბილისი.

ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობის XXX წლისთავის დღესასწაული

პრეზიდენტ გოტვალდის გამოსვლა

პრაღა, 28 ოქტომბერი. (ტასი). დღეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მშრომელებმა ფართოდ და სიხარულით აღნიშნეს თავიანთი

აწარმოებდა შინ და საზღვარგარეთ განმათავისუფლებელი პრეზიდენტის მასარიკის ხელმძღვანელობით, წარმოიშვა ჩვენი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა, ჩვენს რესპუბლიკას აქვანი

ხალხი სახალხო მეურნეობის აღდგენის ორწლიანი გეგმა 1947 და 1948 წლებისათვის. რესპუბლიკის XXX წლისთავის დღეს ჩვენ გამოვაქვეყნეთ ხუთწლიანი ეკონომიური გეგმა

ჭოთა კავშირის პატივსაცემად, სლავ ხალხთა მეგობრობის პატივსაცემად.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა პრემიერ-მინისტრმა

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

სსრ კავშირის დიდი თეატრი, 29 ოქტომბერი

დიდ თეატრში მეფობდა სიჭაბუკე... მოსკოვის ყველა კუთხიდან აქ შეიკრიბნენ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის სახელოვანი კომკავშირის წარმომადგენლები — კრასნია პრესნიას ფეიქრები, ავტოქარხნელები, მეტროს მშენებლები, ახალგაზრდა ოსტატები და კონსტრუქტორები, მეცნიერები, საბჭოთა არმიის ოფიცრები, დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები...

მთავრობის მაღალი ჯილდოები მკერდს უმშვენებს ბევრ ახალგაზრდას, რომლებმაც სახელი გაითქვეს საბრძოლო და შრომითი გმირობით სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სახელოვანი გზა, ბრძოლისა და გამარჯვების გზა განვლო 30 წლის განმავლობაში კომკავშირმა, რომელიც შექმნა და აღზარდა ბოლშევიკურმა პარტიამ, იგი აღზარდეს პროლეტარული რევოლუციის დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა.

სამოქალაქო ომის ბრძოლებში, სტალინური ხუთწლედების მანძილზე გმირულ შრომაში, დიდი სამამულო ომის განსაცდელში იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა და იწრთობოდა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი — ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული თანაშემწე.

ლენინურ-სტალინური კომკავშირის ვაჟები და ქალიშვილები, საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით გამსჭვალულნი, ...

... ვ. ა. მალიშევი, მ. ზ. საბუროვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ი. ა. პარფენოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ა. ფადეევი, ს. ი. ვავილოვი, საბჭოთა კავშირის მარშლები: ა. მ. ვასილევსკი, ი. ს. კონევი, ს. მ. ბუდიონი, კ. ა. მერეცკოვი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები: ვ. ნ. ივანოვი, ა. ე. ხარლამოვი, ა. ნ. შელეპინი და ტ. ი. ერშოვა, მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელები, მინისტრები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი, დედაქალაქის საწარმოთა ახალგაზრდა სტახანოველები.

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. კრასავჩენკო, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის დავალებით ხსნის კომკავშირის აქტივის საზეიმო სხდომას, მიძღვნილს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 30 წლისთავისადმი. დარბაზში გუგუნებს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი, მქუხარე ტაში გაისმის დარბაზში, როდესაც შემოაქვთ წინადადება საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შესახებ.

მქუხარე ხანგრძლივი ოვაციით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის ...

[illegible]

... ბი: „გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბელადს დიდ სტალინს!“.

პრეზიდიუმში გამოჩნდებიან ამხანაგები: ნ. მ. შვერნიკი, ა. ა. კუზნეცოვი, მ. ა. სუსლოვი, პ. კ. პონომარენკო, მ. თ. შკირიატოვი, ნ. ა. მიხაილოვი, ...

... ლენინური კომკავშირი გახდა საბჭოთა ახალგაზრდობის მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 9 მილიონ ჭაბუკსა და ქალიშვილს.

* * *

საზეიმო ნაწილის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების ახალგაზრდა ოსტატებმა. (საქდესი).

საკავშირო ალკკ 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

დიდი დღესასწაულის სულისკვეთება სუფევდა 29 ოქტომბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. აქ საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის აქტივის საზეიმო სხდომაზე, რომელიც გაიმართა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად და მიეძღვნა ლენინურ-სტალინური კომკავშირის 30-ე წლისთავს, მოვიდნენ საწარმოთა ახალგაზრდა სტახანოველები, სტუდენტები, მოსწავლეები, ...

... ბის, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლნი.

საზეიმო სხდომას ხსნის საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. მ. მეგრელიშვილი.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგებს: კ. ნ. ჩარკვიანსა და ნ. ა. მიხაილოვს.

საკავშირო ალკკ 30-ე წლისთავის ...

... შეაქვთ წინადადება მისალმება გაეგზავნოს ამხანაგ სტალინს. კრება უდიდესი აღფრთოვანებით იღებს ამხანაგ სტალინისადმი მისალმების ტექსტს. ხანგრძლივი მქუხარე ტაშით იღებენ მისალმებას დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვისადმი.

მარშის გამამხნევებელ ხმაზე, მკვეთრი ნაბიჯით შემოდის დარბაზში თბილისის გარნიზონის ჯარების კომკავშირულ ორგანიზაციათა დელეგაცია. ტრიბუნაზე ადის საბჭოთა კავშირის ...

[illegible]

... ი. ზოდელავა, გვარდიის გენერალ-პოლკოვნიკი მ. კაზაკოვი, გენერლები ა. გეტმანი, გ. კარანაძე და შ. წერეთელი, ნ. მუსხელიშვილი, ნ. ქვანია, კ. გურგენიძე, ა. კინწურაშვილი, მინისტრები, პარტიისა და კომკავშირის რაიკომების მდივნები, ქარხნების, ფაბრიკების ცნობილი ადამიანები, მეცნიერ-...

... ლავა მთელი დარბაზი მქუხარე ტაშის გრიალში დღეგრძელობას უსურვებს კომკავშირის სახელოვან აღმზრდელს — ბოლშევიკურ პარტიას, ლენინურ-სტალინურ კომკავშირს, საბჭოთა ხალხის ბელადს ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

ახალი ძალით გრიალებს დარბაზში აღფრთოვანებული ტაში, როდესაც მიხაილოვისადმი.

გაისმის „ინტერნაციონალის“ დიდებული ხმა. ყველანი ფეხზე დგებიან. კვლავ ოვაციებით ჟღერავენ ტ. შს, აღფრთოვანებით მიესალმებიან და ადიდებენ ხალხთა ბელადს ი. ბ. სტალინს.

სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

უშიშროების საბჭოს რეზოლუციის პროექტი, რომელიც 24 ოქტომბრის არაოფიციალური მოლაპარაკების დროს შეთანხმებულ იქნა სსრ კავშირის წარმომადგენელ ვიშინსკისა და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოთა წარმომადგენელ ბრამუგლიას შორის და რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა უარყვეს 25 ოქტომბერს

უშიშროების საბჭო,

რომელმაც განიხილა მთელი რიგი ამბები, რამაც გამოიწვია ახლანდელი სერიოზული მდგომარეობა ბერლინში და რომელსაც შეგნებული აქვს საბჭოს მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის, და,

მოქმედებს რა წესდების მე-40 მუხლის შესაბამისად, რათა თავიდან აცილებულ იქნას მდგომარეობის გართულება ბერლინში, კერძოდ, ამზადებს რა ამ მდგომარეობის მოწესრიგების გზას,

მოუწოდებს ოთხ მთავრობას — საფრანგეთის, შეერთებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობებს, რომლებსაც გერმანიასა და ბერლინში მაოკუპირებელ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა აკისრიათ,—

[illegible]

... რობებს და შეთანხმდება დასავლეთის „ბ“ მარკის ამოღების შესახებ. ყოველივე ზემოხსენებული უნდა განხორციელდეს იმ პირობების შესაბამისად, რაც განსაზღვრულ იქნა საერთო დირექტივით, რომელიც გადაეცა ოთხ სამხედრო სარდალს ბერლინში, შეთანხმებულია მოსკოვში ოთხი მთავრობის მიერ და გამოიცა 1948 წლის 30 აგვისტოს, და უნდა სრულდებოდეს ოთხმხრივი საფინანსო კომისიის კონტროლით, რომლის მოწყობა, რწმუნებანი და მოვალეობანი ჩამოყალიბებულია დირექტივაში.

ეს ღონისძიება მთლიანად უნდა შესრულდეს „C“ პუნქტში აღნიშნული თარიღისათვის.

C) ნაწილი მე-2, „A“ და „B“ პუნქტები მთლიანად უნდა შესრულდეს 1948 წლის 20 ნოემბრისათვის.

3. განაახლონ მოლაპარაკება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში ყველა გადასაწყვეტ პრობლემაზე, რომლებიც შეეხებიან მთელ გერ-...

[illegible]

... შეთანხმება საბჭოთა ზონის გერმანული მარკის ბაზაზე ბერლინში ვალუტის უნიფიკაციის შესახებ, ოთხი სამხედრო სარდალი დააწესებს მთელი ბერლინისათვის ერთადერთ ვალუტად საბჭოთა ზონის გერმანული მარკის მიმოქცევაში შემოღებისა და შემდგომი გამოყენების პი-...

... ლედვანი იმ რეზოლუციის თანახმად, რომელსაც კენჭი უყარეს, **დაუყოვნებლივ** იხსნება, ხოლო ბერლინში ერთიანი ვალუტის შემოღება გადადებულია 20 ნოემბრამდე, რასაც შეიძლება დიდი საშიშროება მოჰყვეს გერმანიის საბჭოთა ზონის ეკონომიკისათვის.

ამერიკის პრესის გამოხმაურება „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხის გამო

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი. (საქდესი). დილის გაზეთების მეტი ნაწილი თვალსაჩინო ადგილას ათავსებს ცნობას გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე ამხანაგ სტალინის პასუხის შესახებ. გაზეთები ამ ცნობას დიდრონი სათაურით ათავსებენ პირველ გვერდზე.

გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ სამ სვეტზე მოათავსა სათაური: „სტალინი ამტკიცებს, რომ დასავლეთის მიზანია „ახალი ომი გააჩაღოს“. ამ ცნობის ქვესათაურში ნათქვამია: „გაერთიანებული ერების მოქმედება დაგმობილია. სტალინი შეერთებულ შტატებსა და ინგლისს ბრალად სდებს, რომ ისინი აფერხებენ ბერლინის შესახებ შეთანხმების მიღწევას. იგი აგრესიას მიზანს უწოდებს, აგრეთვე თავს ესხმის ეგრეთ „ნეიტრალურ“ ქვეყანას, მაგრამ ამტკიცებს, რომ ომის „გამჩაღებლებს“ მარცხი მოელით“.

ასოშიეიტედ პრესის და იუნაიტედ პრესის სააგენტოებმა ინტერვიუს სრული ტექსტი გადასცეს.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მოსკოვში ჰილმორი კომენტარს უკეთებს ინტერვიუს და სწერს, რომ მოსკოველ მე-...

... ბი აცხადებენ, რომ საჭიროა ახალი ომი და აწარმოებენ აგრესიის პოლიტიკას, ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკას. გაზეთს „არგუმენტად“ ის მოჰყავს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა ნებაყოფლობით მიანიჭეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა ფილიპინებს, ინდოეთსა და ბირმას; ამ სახელმწიფოებმა „ომის დამთავრებისთანავე დაითხოვეს თავიანთი არმიები და იმდენად განიარაღდნენ, რომ დაუცველი გახდნენ“(!). გაზეთი სადავოდ ხდის დებულებას, რომ პარიზში შეთანხმებულ იქნა ბერლინის საკითხის მისაღები გადაწყვეტილება, რაზეც დასავლეთის სახელმწიფოებმა შემდეგ კვლავ უარი სთქვეს.

როგორც „დეილი უორკერი“ იუწყება, ჰენრი უოლესმა ამხანაგ სტალინის ინტერვიუს გამო განაცხადა: „დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ისეთი უთანხმოება არა აქვთ, რომელიც ძალით ან დაშინებით უნდა გადაწყდეს; არ არსებობს ისეთი უთანხმოება, რომლის გადაწყვეტა არ შეიძლებოდეს ისე, რომ მსხვერპლად არ იქნას მიტანილი რაიმე ამერიკული პრინციპი ან ამერიკელთა სიცოცხლე“.

[illegible]

თეატრები

[illegible]

— 31-X „წითელქუდა“ (34 აბ. 12 ს.), „ბაში-აჩუკი“ (55 აბ. 6 ს.);

კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსული—31-X „თოვლის გუნდა“ (106 აბ. 10 ს., 95 აბ. 2 ს.), „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ (8 ს. აბ. გარეშე).

გაზეთ „სახალხო განათლების“ 20 წლისთავი

შესრულდა 20 წელი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს — გაზეთ „სახალხო განათლების“ პირველი ნომრის გამოსვლის დღიდან. იუბილეს დღეს გამოვიდა ამ გაზეთის მეათასე ნომერი.

მასწავლებლის სახლში შესდგა თბილისის სახალხო განათლების მუშაკთა აქტივის კრება, მიძღვნილი იუბილესადმი.

მოხსენება „სახალხო განათლების“ 20 წლისთავის შესახებ გააკეთა გაზეთის რედაქტორმა ამხ. გ. საჯაიამ. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს თბილისის მასწავლებელთა სახელით საქართველოს სსრ დამსახურებულმა პედაგოგებმა ა. კიზირიამ და ი. გომელაურმა, საქართველოს საბჭოთა მწერლების გამგეობისა და გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ სახელით ე. ქარელიშვილმა, აგრეთვე მწერალმა ი. სიხარულიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ვ. თოფურიამ და სხვებმა.

იუბილარის სახელზე მრავალი მისალმება მოვიდა სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან, კულტურის, მეცნიერებისა და ლიტერატურის მოღვაწეთაგან.

კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება ამხანაგ სტალინისადმი.

მისალმებანი გაეგზავნა აგრეთვე ამხანაგ ლ. პ. ბერიას და ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანს.

(საქდესი).

ფეხბურთი

29 და 30 ოქტომბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შესდგა „დინამოს“ საკავშირო თასის გათამაშების მეოთხედფინალური შეხვედრები.

29 ოქტომბერს თამაშობდნენ ხაბაროვსკისა და ქუთაისის გუნდები. თამაში მოიგეს ქუთაისელებმა ანგარიშით 2 : 1.

30 ოქტომბერს ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და მინსკის „დინამოს“ გუნდები. მოსკოველებმა თამაში მოიგეს დიდი ანგარიშით 6 : 0.

უჩა ჯაფარიძის შემოქმედებითი საღამო

დღეს, საღამოს 8 საათზე, ხელოვნების მუშაკთა სახლი და საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირი ხელოვნების მუშაკთა კლუბში (მახარაძის ქ. № 8), აწყობენ სტალინური პრემიის ლაურეატის, საქართველოს სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის შემოქმედებითს საღამოს. მოხსენებას უ. ჯაფარიძის შემოქმედების შესახებ გააკეთებს დოცენტი დ. ჯანელიძე.

დარბაზში მოწყობილია მხატვრის 20 წლის ნამუშევართა გამოფენა, რომელთა შორისაც არის როგორც ფერწერის და გრაფიკის, ისე ტემპერით შესრულებული საუკეთესო ნამუშევრები.

გამოფენისათვის გამოცემულია სპეციალური კატალოგი, რომელსაც დართული აქვს მოკლე ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი ცნობები.

ნ. ტიხონოვის ლექსების საღამო

ორშაბათს, 1 ნოემბერს მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. №13) გაიმართება რუსი პოეტის ნ. ტიხონოვის ლექსების კითხვის საღამო. ავტორის მიერ წაკითხული იქნება ახალი ლექსები საქართველოს შესახებ.

საღამოს დასაწყისი 8 საათზე. შესვლა თავისუფალია.

ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა სასახლეში

კვირას, 31 ოქტომბერს, 1 საათზე, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის რუსული და ქართული ლიტერატურის კაბინეტები აწყობენ ნორჩ ლიტერატორთა შეხვედრას სტალინური პრემიის ლაურეატ პოეტ ნიკოლოზ ტიხონოვთან. საღამოს პროგრამაშია: მოსწავლეთა სიტყვები, მოხსენებები, ლექსები, და პოეტ ნიკოლოზ ტიხონოვის გამოსვლა.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

1 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, მომხსენებლების, ლექტორებისა და პროპაგანდისტებისათვის შესდგება დოცენტ **ხუციშვილის** საინსტრუქციო მოხსენება თემაზე: **„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლის-...**

[illegible]

შვილები ავქსენტი, ალისტინა, პელო და ევრაქსია, რძლები ელენე, ჩიტო, სიძეები არტემ კაკულია, ვიქტორ ანჯაფარიძე შვილებით იუწყებიან **მათი ბებოს ახულ წულაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-XI ს. ნახუნაო ჭაბურთაში (გეგეჭკორის რ.).

[illegible] კორბესაშვილი ოჯახით, შვილებით მარო მაისურაძე იუწყებიან, რომ 31-X, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია ელენე გიორგის ასულ ბეჟიტაძის პანაშვიდი.

მარო იობაშვილი და ვალოდია გაგნიძე ოჯახებით იუწყებიან ელენე იოსების ასულ **გაგნიძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის —3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებების: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73 24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა— 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 12929